

სს „კურორტი ახტალა“ ს
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სს კურორტი ახტალა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024
წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5-17

სს „კურორტი ახტალა“ ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სს „კურორტი ახტალა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	3,082,041	3,121,717	3,190,341
		3,082,041	3,121,717	3,190,341
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	129,807	242,652	194,554
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	-	1,277	477
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	5	20	78	20
წინასწარ გადახდილი გადასახადები	5	1,370	2,279	49
მარაგები	6	4,865	6,478	7,024
		136,062	252,764	202,124
მთლიანი აქტივები		3,218,102	3,374,481	3,392,464
მთლიანი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		3,183,104	3,183,104	3,183,104
პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი		686,711	686,711	686,711
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-654,385	-496,996	-479,989
		3,215,430	3,372,818	3,389,826
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	2,672	855	1,542
საგადასახადო ვალდებულებები		-	808	1,097
		2,672	1,663	2,639
მთლიანი ვალდებულებები		2,672	1,663	2,639
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,218,102	3,374,481	3,392,464

დირექტორი:



სს „კურორტი ახტალა“ ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სს „კურორტი ახტალა“

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
ამონაგები	8	574,205	482,504
საერთო მოგება		574,205	482,504
სხვა შემოსავლები	9	145	603
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(57,724)	(23,710)
მიწოდ. და საწარმოო დანიშნ. ხარჯი	11	(344,797)	(248,660)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(169,292)	(146,803)
ცვეთა და ამორტიზაცია		(62,645)	(80,602)
სხვა ხარჯები	12	(97,281)	(339)
საოპერაციო მოგება		(157,388)	(17,007)
მოგება დაბეგვრამდე		(157,388)	(17,007)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(157,388)	(17,007)

დირექტორი:



სს „კურორტი ახტალა“ ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სს „კურორტი ახტალა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)	სააქციო კაპიტალი	პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	3,183,104	686,711	(479,989)	3,389,826
მოგება წლის ბოლოს	-	-	(17,007)	(17,007)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(17,007)	(17,007)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
კაპიტალის გატანა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	3,183,104	686,711	(496,996)	3,372,818
მოგება წლის ბოლოს	-	-	(157,388)	(157,388)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(157,388)	(157,388)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
კაპიტალის გატანა	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	3,183,104	686,711	(654,385)	3,215,430

დირექტორი:

[Handwritten signature]



სს „კურორტი ახტალა“ ს
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სს „კურორტი ახტალა“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარიში)

	2024	2023
ფულადი სახსრების საწყისი ბალანსი	242652	194554
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველისაგან მიღებული ფულადი სახსრები	572,676	480,773
გადახდილი გასამრჯელოები	308,220	241,503
გადახდილი სავაჭრო და სხვა გადასახადები	242,943	108,303
გადახდილი გადასახადები	99,367	70,551
ფულის ნაზრდი(კლება) საოპერაციო საქმიანობიდან	-77855	60416
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	34,990	12,318
ფულის ნაზრდი(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	-34990	-12318
ფულადი სახსრების საბოლოო ბალანსი	129,807	242,652

დირექტორი:



სს „კურორტი ახტალა“ ს 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „კურორტი ახტალა“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1996 წლის 26 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია გურჯაანის რაიონის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 227720883. კომპანიის იურიდიული / ფაქტიური მისამართია : საქართველო, ქ. გურჯაანი, თამარ მეფის ქ., №9. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო საკურორტო საქმიანობა. სარეგისტრაციო ნომერი - 27/5-23.

სს „კურორტი ახტალა“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 3 549 156 ჩვეულებრივი აქციის სახელმწიფოს წილი კაპიტალში 99,54808% ელექტრონული აუქციონის # 354, 2018 წლის 14 ივნისს (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ, აქციების მფლობელი გახდა შპს „გლობალ ვიქტორი ჯეორჯია“ ს.კ 405195408. დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება 30,07,2018 წელს. შპს „გლობალ ვიქტორი ჯეორჯია“ – 99,54808% წილის მფლობელია, ხოლო 0,0045% ეკუთვნის 79 აქციონერს.

კომპანიის დირექტორია გიორგი უტიაშვილი (პ/ნ13001004980).

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სამედიცინო-საკურორტო მომსახურება. საწარმო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს და აქციონერების ინტერესების გათვალისწინებით. ლიცენზიების და ნებართვების საფუძველზე. ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, ქ. გურჯაანი, თამარ მეფის ქ. N 9.

კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 27 კაცს. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. საწარმო ძირითად სამედიცინო-საკურორტო საქმიანობას ახორციელებს სეზონურად 01 მაისიდან 01 ნოემბრამდე.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე მოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

- 2018 წლის 01 იანვრიდან დაწყებული კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) მიხედვით ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ან უდაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში და განახორციელონ ინვესტიციები. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი- დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში. მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.
- გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.
- 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).
- კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2.9306

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

- რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე

აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა-ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-8
კომპიუტერული ტექნიკა	5-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 20%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარებ ი	ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	ნარგავები, დენდროლო გია	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	არამატერიალ ური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2022	2,014,120	1,019,802	8,307	9,160	87,831	28,806	22,315	3,190,341
შემოსვლა	-	-	3,738	8,580	-	-	-	12,318
გასვლა	-	-		339	-	-	-	339
ცვეთა და გაუფასურება		65,744	1,851	2,831	4,042	3,090	3,045	80,602
31 დეკემბერი 2023	2,014,120	954,058	10,194	14,570	83,789	25,717	19,270	3,121,717
შემოსვლა	-	-	33812.04	2650	-	-	-	36,462
გასვლა	-	12799.41	112	581.81	-	-	-	13,493
ცვეთა და გაუფასურება	-	46116.91	4345.01	2839.02	4041.67	3089.6	2213.25	62,645
31 დეკემბერი 2024	2,014,120	895,142	39,549	13,799	79,747	22,627	17,057	3,082,041

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი. კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება სამკურნალო ტალახისა და მტკნარი წყლის მოპოვებაზე ლიცენზიებისგან, ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე შემდგომში მათი მოპოვებისთვის და ექსპლუატაციისთვის შედგენილია და დამტკიცებულია წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ზონების დაცვის პროექტი, მარაგების პროექტები, ტექნოლოგიური სქემები.

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	99.11	47.23	18.21
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	129708.13	242604.28	194535.47
სულ	129807.24	242651.51	194553.68

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	1277	477
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	19.82	78.3	19.82
საპენსიოზე გადახდილი ავანსი	686.71	556.43	48.99
შემოსავლებში ზედმეტად გადახდილი თანხა	683.37	1722.58	-
სულ	1389.9	3634.31	545.81

შენიშვნა 6

მარაგები

	2024	2023	2022
საქონელი	4864.78	6051.35	6249.05
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	0	427	-
მზა პროდუქცია	-	-	775
სულ	4864.78	6478.35	7024.05

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023	2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	2672.23	855.46	1541.68
სულ	2672.23	855.46	1541.68

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად. სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 30-180 დღეს. კომპანიის მენეჯმენტს ქმნის დებიტორული დავალიანების ანარიცხს 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში 50%-ს ოდენობით, ხოლო 365 დღეზე მეტი ვადაგადა -ცილების შემთხვევაში სრულად 100 %-ით ახდენს მოთხოვნების დარეზერვებას;

შენიშვნა 8

ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი რეალიზიციიდან	585070	490254.5
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	-10865	-7751
სულ	574205	482503.5

შენიშვნა 9

სხვა შემოსავალი

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	145.14	-
განსაკუთრებული შემოსავლები	-	603
სულ	145.14	603

შენიშვნა 10

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
რემონტის დანახარჯები	40952.04	15548.31
რეკლამის ხარჯები	1750	775
დამოუკიდებელი ანგარიში	1739	939
კომუნიკაციის ხარჯები	5242.8	4496.76
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	1277	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	831.2	420.28
სხვა საერთო ხარჯი	5931.86	1530.8
სულ	57723.9	23710.15

სს „კურორტი ახტალა“ ს
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 11

მიწოდ. და საწარმოო დანიშნ. ხარჯი

	2024	2023
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	82815.48	63832.03
პირდაპირი ხელფასი	219261.06	156990.27
სოციალ. დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე	4917.09	2015.28
დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა	19992.23	16686.54
არაპირდაპირი ხელფასი	8340.81	1795.4
სხვა საოპერაციო ხარჯები	9469.92	7340.1
სულ	344796.59	248659.62

შენიშვნა 12

სხვა ხარჯები

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	97280.97	339.47
სულ	97,280.97	339.47

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს;

დირექტორი:

